პროექტი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № ----

ქ. ბათუმი ---- ---------- 2018 წ.

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) განკარგულების პირველი პუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტთა ნუსხა“-ს დაემატოს 37-69-ე პუნქტები (საპრივატიზებო ობიექტები), თანახმად დანართი 1-სა;

ბ) განკარგულების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა“-ს , დაემატოს 37-69-ე პუნქტები (პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტები), თანახმად დანართი 2-სა;

გ) განკარგულების მე-2^1 პუნქტით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, საპრივატიზებო მოძრავი ობიექტების ნუსხას დაემატოს მე-14 პუნქტი, თანახმად დანართი 3-სა;

დ) განკარგულების მე-2^1 პუნქტით დამტკიცებულ, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ, მოძრავი ობიექტების პრივატიზების გეგმას დაემატოს მე-14 პუნქტი, თანახმად დანართი 4-სა.

2. ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერს (ლ. კომახიძე) მიეცეს თანხმობა წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ობიექტების განკარგვის შესახებ და განკარგულების შესრულების მიზნით დაევალოს უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **სულიკო თებიძე**

„ დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა “
თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის
საკრებულოს განკარგულება
2010 წლის 29 ოქტომბერი №129

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკრებულოს უფლებამოსილებებს მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის სფეროში განეკუთვნება მუნიციპალიტეტის მერის წარდგინებით მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცება.

თავის მხრივ, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილების შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი, ხოლო პრივატიზაციის გეგმა არის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული, მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის საფუძველზე შედგენილი გეგმა, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტის დასახელების, მდებარეობის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, აუქციონის ფორმის (უპირობო ან პირობებიანი), აუქციონის შემდგომ მუნიციპალიტეტის შეძენილი ქონების სრული ღირებულების გადახდის სავარაუდო პერიოდის ან/და პერიოდულობის შესახებ.

“ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ” ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულებით დამტკიცებულია:

ა) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო უძრავი ობიექტთა ნუსხა“, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 33 საპრივატიზებო ობიექტი;

ბ) „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმა“, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 33 პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტი (უძრავი ქონება);

გ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, საპრივატიზებო მოძრავი ობიექტების ნუსხა, რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 1 ობიექტი (ავტოსატრანსპორტო საშუალება);

დ) ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, მოძრავი ობიექტების პრივატიზების გეგმა,

რომელსაც წარმოდგენილი პროექტით ემატება 1 პრივატიზების გეგმაში შემავალი ობიექტი (ავტოსატრანსპორტო საშუალება);

ამასთან, განკარგულების პროექტით გათვალისწინებული უძრავი ქონების პრივატიზების გეგმის 37-49-ე პუნქტებით გათვალისწინებული ქ. ბათუმი, ზვიად გამსახურდიას ქ.#11-ში მდებარე უძრავი ქონება წარმოადგენს ხანძრის შედეგად განადგურებულ ქონებას და მათზე წილობრივად მიმაგრებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, რომელთა პრივატიზება იგეგმება ერთ ლოტში გაერთიანებით, შენობა-ნაგებობის პირვანდელი იერსახის აღდგენისა და მასში საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტის მოწყობის პირობით.

50-67-ე პუნქტებით გათვალისწინებული ობიექტების პრივატიზება მიზანშეწონილია განხორციელდეს მომიჯნავედ არსებული მიწის ნაკვეთების განვითარების მიზნით, შესაბამისად დაწესდება შემდეგი შეზღუდვა: „მშენებლობის უფლების გარეშე.“.

68-ე პუნქტით გათვალისწინებული ქ. ბათუმი, დადიანის ქ.#1/მაიაკოვსკის ქ.#55/24-ის მიმდებარედ არსებული 468 კვმ მიწის ნაკვეთის პრივატიზება შესაძლებელია ზონისათვის დასაშვები ობიექტის მშენებლობა-ფუნქციონირების პირობით (მდებარეობა სზ-5);

69-ე პუნქტით გათვალისწინებული ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. #147-ის მიმდებარედ არსებული 173 კვმ მიწის ნაკვეთის პრივატიზება შესაძლებელია ზონისათვის დასაშვები ობიექტის მშენებლობა-ფუნქციონირების პირობით (მდებარეობა სსზ-1);

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია საპრივატიზებო ქონების საკუთრებაში განკარგვა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:
მოხდება საშემოსავლო ნაწილის ზრდა. ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

ბ.გ) პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება პროექტის მოქმედება:

პროექტი ფინანსურ გავლენას მოახდენს ქონების საკუთრების უფლებით მიმღებ პირ(ებ)ზე.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“ და „ე.დ“ ქვეპუნქტები;

„მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 08 დეკემბრის №669 დადგენილება

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტი;

დამოუკიდებელი ექსპერტი (შემფასებელი) – შპს „ინტელექტ-უდიტი“ დირექტორი ივანე გაჩეჩილაძე;

ე) **პროექტის ავტორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) **პროექტის ინიციატორი:**

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის
მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახურის უფროსი ეგარსლან ლომაძე

დანართი 1

საპრივატიზებო უძრავი ობიექტების ნუსხა

#	მისამართი	ობიექტის დასახელება	საკადასტრო კოდი	ობიექტის მონაცემები	
				მიწის ფართობი (კვმ)	შენობის ფართი (კვმ)
37	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო	05.21.13.009.01.504	—	72.87
38	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.503	—	41.16
39	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	არასაცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული მეზონინი) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.518	—	3.34
40	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.011	—	50.19
41	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.502	—	31.19
42	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.501	—	26.62
43	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.509	—	58.01
44	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.004	—	35.96
45	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	ხანძრის შედეგად განადგურებული დამხმარე ფართი და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.514	—	1.20
46	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.512	—	42.13
47	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.506	—	44.56

48	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	საცხოვრებელი ფართი (ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.510	—	40.54
49	ქ. ბათუმი,ზვიად გამსახურდიას ქ.#11	არასაცხოვრებელი ფართი (მეზონინი, ხანძრის შედეგად განადგურებული) და მასზე წილობრივად მიმაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	05.21.13.009.01.515	—	4.42
50	ქ. ბათუმი, დასახლება მახვიალურის მეურნეობა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.29.019	508.00	—
51	ქ. ბათუმი, აღმაშენებლის ქ. #13ა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.25.05.217	102.00	—
52	ქ. ბათუმი, ტაბიძის ქ. #6-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.31.01.773	51.00	—
53	ქ. ბათუმი, ტბელ აბუსერიძის ქ. #61	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.24.07.131	11.00	—
54	ქ. ბათუმში, ფრიდონ ხალვაშის გამზირი II ჩიხი, #5ა	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.02.115	58.00	—
55	ქ. ბათუმი, დასახლება ადლია	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.15.146	371.00	—
56	ქ. ბათუმი, კაკაბაძის ქ. #26გ-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.21.468	149.00	—
57	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი #241ა-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.24.236	63.00	—
58	ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქ. #66	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.28.58.038	91.00	—
59	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ. #75	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.20.060	81.00	—
60	ქ. ბათუმი, პარიზის კომუნას ქ. #7	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.24.100	119.00	—
61	ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.23.971	16.00	—
62	ქ. ბათუმი, დაბა ხელვაჩაური	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.35.23.975	18.00	—
63	ქ. ბათუმი, გრიბოედოვი #66/ბაგრატიონი #148	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.41.022	15.00	—
64	ქ. ბათუმი, სამხედრო დასახლება I, სახლი 24-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.30.10.211	133.00	—
65	ქ. ბათუმი, შავშეთის ქუჩა, ყოფილი ციტრუსკომბინატის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.24.102	54.00	—
66	ქ. ბათუმი, აეროპორტის გზატკეცილი #241ა-ს მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.32.24.298	13.00	—
67	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ.#176/178/180/182	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.23.13.045	34.00	—

68	ქ. ბათუმი, დადიანის ქ.#1/მაიაკოვსკის ქ.#55/24-მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.29.29.088	468.00	—
69	ქ. ბათუმი, პუშკინის ქ. #147-ის მიმდებარედ	არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა	05.27.16.053	173.00	—